

საპროლეტარული სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროლეტარული კულტურის სახელმწიფო ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 დეკემბერი, ხუთშაბათი, 1986 წ. № 232 (9393) ღ ფასი 8 კაპ.

გამომცემი 1934 წლის 13 აპრილიდან

თვის მონაგარი

სპორტული საზონის ფინიშთან

თვე ისე არ გავა, რომ ჩვენი ქვეყნის თუ უცხოეთის ქალაქებიდან საქართველოს სპორტსმენთა გამარჯვების შესახებ არ მივიღოთ ცნობა. ამ მხრივ გამონაკლისი არც სპორტული ნომერი ყოფილა.

უმადლესი ლიგის პირველი საგზური დაიხატა „გურია“ — საქართველოს პატარა ქალაქის გუნდმა, უფრო ზუსტად თუ ვიქნებით, სოფლის გუნდმა, სოფლისა, რომლის მცხოვრები უფრო ნაკლებია, ვიდრე ადგილი სტადიონზე — ყველაზე პატარა სტადიონზე, რომელზეც პირველი ლიგის გუნდები თამაშობენ. თუმცა აქ არაფერია გასაკვირი, უფრო ზუსტად — არ უნდა იყოს გასაკვირი. უბრალოდ, ჩვენ შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ ვთქვათ, ეს გუნდი შეიძლება რეალურად დაპირებულა და პრიზორთა შორის, სხვა კი — არა. სწორედ აზროვნების „ინერციის“ ბრალი იყო ის, რომ საფეხბურთო სეზონის სტარტზე „გურიას“ არ თვლიდნენ ანგარიშგასაწევ ძალად.

უწინარესად ვისზე უნდა შევიჩინოთ? ამას რა კითხვა უნდა, გაიკვირვებს მკითხველი, ლანჩხუთის „გურია“ რომ უმადლეს ლიგაში გადავიდა. ეს ცნობა გლეხის ხისწრფით მოედო საქარეულად.



თველოს. ლანჩხუთელ ფეხბურთელთა „საქმენი საგმირონი“ დიდი ხნა-ბაისის საგნად იქცა, მაგრამ ეს მერე იყო, როცა ვენბათაღელვა ახე თუ ისე დაცხრა, 12 ნომბერს კი ყველაზე ოპტიმისტ გულშემატვიარებსაც უჭირდა დაეჭვებინა მომხდარი. დიან, ლანჩხუთელ ფეხბურთელთა ტრიუმფი მართლაც მოვლენაა საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში. აი, რას წერდა გაზეთი „პრავდა“: „გავაოცა იმან, რომ

უმადლესი ლიგის პირველი საგზური დაიხატა „გურია“ — საქართველოს პატარა ქალაქის გუნდმა, უფრო ზუსტად თუ ვიქნებით, სოფლის გუნდმა, სოფლისა, რომლის მცხოვრები უფრო ნაკლებია, ვიდრე ადგილი სტადიონზე — ყველაზე პატარა სტადიონზე, რომელზეც პირველი ლიგის გუნდები თამაშობენ. თუმცა აქ არაფერია გასაკვირი, უფრო ზუსტად — არ უნდა იყოს გასაკვირი. უბრალოდ, ჩვენ შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ ვთქვათ, ეს გუნდი შეიძლება რეალურად დაპირებულა და პრიზორთა შორის, სხვა კი — არა. სწორედ აზროვნების „ინერციის“ ბრალი იყო ის, რომ საფეხბურთო სეზონის სტარტზე „გურიას“ არ თვლიდნენ ანგარიშგასაწევ ძალად. ეტყობა, თვით გუნდსაც უფრო შორეულ მიზნად ესახებოდა უმადლესი ლიგის საგზური, მაგრამ ნათქვამია, მადა ჰამაში მოდისო. მთელი ტურნირი, განსაკუთრებით, მისი მერე ნახევარი, ამ გუნდისათვის უადრესად ხელსაყრელად წარიშარა, რაც უფრო ახლოვდებოდა ფინიში, მიზანი უფრო რეალური ჩანდა და გუნდსაც შინ და გარეთ გაორკეცებული ენერჯით იბრძოდა. ასეთმა „უხვმოსავლიანმა ფინიშმა“ ზოგადად დაეკავა, მაგრამ ლანჩხუთელ ფეხბურთელებს გაინახდა, უმადლეს ლიგაში მიეცემათ შესაძლებლობა დამტკიცონ მათი წარმატების კანონზომიერება. დიან, „გურია“ დღეს უკვე საბჭოთა ფეხბურთის ფლაგმანებთან საბრძოლ-

ნ. მ. 3 33.

ახლახან ბათუმში გაიმართა საქართველოს მოსწავლეთა საშემოდგომო პირველობა აკრობატიკაში. დაწვრილებით ამ შეჯიბრების შესახებ „ლელოს“ უახლოეს ნომერში გვსაუბრებით. სურათზე: წყვილთა შორის გამარჯვებული ბათუმელი სპორტსმენები მზიური კოსტავა, ნატალია ვეტოშინა.



ჯილდოები საუკეთესოებს



მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა, რომელიც ქალაქ დიუბაიში (გერმანიის არაბული საემიროები) მსოფლიო საქადრაკო ოლიმპიადაზე სსრ კავშირის ვაჟთა გუნდს მეთაურობდა, ოქროს მედალი მოიპოვა პირველ დაფაზე საუკეთესო შედეგისათვის. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე კი ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა: ქალთა პირველ დაფაზე მისი ქულების ჯამი მხოლოდ მეორე აღმოჩნდა. კასპაროვს მიენიჭა აგრეთვე საპატიო ჭილდო უძლიერეს მტკიცებთან პარტიებში უკეთეს შედეგისათვის. ქალებს შორის ასეთივე ჭილდო მიიღო მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა, ჩიბურდანიძემ კი აქაც მეორე ადგილი დაიკავა. (საკლესი).

საპროლეტარული სპორტსაქონისა და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკურ საგზოში

ბუმერანგი...

რეპორტაჟი გუზინ თაილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში გაერთიანებული საპროლეტარული სპორტსაქონისა და „დინამოს“ რესპუბლიკური საგზოს გაერთიანებული კრებიდან

ზოგინით, მიძივლ, თავდაბრილები შემოდიოდნენ დარბაზში. უკვე გრძობდნენ, რაღაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ რა? ამ შეკრებას მოელოდნენ და არც მოელოდნენ, თუმცა გაორებულები კარგა ხანია იყვნენ... ყველაზე მოულოდნელი, სპორტული ტერმინი რომ ვინმართ, მათთვის მანც ამ კრების ფინალი იყო.

მთელი ეს ისტორია, მისი ბოლო ეტაპი, სადაც უკვე მკაფიოდ გამოიკვეთა ზოგერთი სპორტსმენის ორიპრობა და უნებისყოფობა, უხეობა და ცრუპატრიოტობა, საოცრად ჰგავს ეზოებს ჟუსისმკრელისა და მშიშარა მონადირის ივანს. ვასსოვთ ალბათ, სიტყვით ვულადი და საქმით ლაჩარი კაცი ადვილად გამოიცილობა.

... ისინი ბევრნი იყვნენ — თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის სრული შემადგენლობა. დარბაზში ერთმანეთის გვერდით ისხდნენ ვეტერანები და ახალგაზრდები, ძირითადი თუ სათადარიგო შემადგენლობის ფეხბურთელები, გუნდის ხელმძღვანელები. ამ ერთი თვის წინათ, წლევეანდელ საფეხბურთო ჩემპიონატში თბილისის „დინამოს“ და მისი მოსკოველი თანაკლებელების კალენდარულ მატჩამდე ორი დღით ადრე საქართველოს სპორტსაქონის ხელმძღვანელობასთან თბილისელ ფეხბურთელთა ერთი ჯგუფი გამოცხადდა. ამ ფაქტში გასაკვირი

არაფერი იყო — სიმართლის მძიებელ კაცს უფლება აქვს ნებისმიერ ინსტანციას მიაკითხოს და ამაში ცუდი, რა თქმა უნდა, არაფერია. მაგრამ წარმოიდგინეთ, რა ვითარება შეიძლება შეიქმნას, როცა ახალგაზრდა ფეხბურთელთა ჯგუფი კატეგორიულად აცხადებს: „იცოდეთ, ჩვენი გუნდი სათამაშოდ იმ შემთხვევაში გამოვა მოედანზე, თუ უფროსი მწვერთნელი ახალკაცი გუნდიდან წავა!“ ის შეხვედრა მოსკოველებთან ჩვენმა „დინამომ“ უფროსი მწვერთნელის გარეშე ჩაატარა. თუ როგორ ჩაატარა, გულშემამტკიცებებს კარგად ახსოვთ და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ამ შემთხვევაში ჩვენი უფრო ის გვიანტირე-

სებს, რატომ მივიდა აქამდე საქმე, რამ აიძულა ფეხბურთელები, ასეთი ნაბიჯი გადაედგათ? ამ საგანგაშო შემთხვევასთან დაკავშირებით ერთმანეთში აირია ტყუილმართალი, მაგრამ საზოგადოებრიობა, კემშარტი გულშემამტკიცებები ერთს აშკარად გრძობდნენ — გუნდში მდგომარეობა არ სწორდება! იყო თუ არა ეს საკითხი „დინამოს“ იმ წევრების განსახველი და გადასაწყვეტი, რომლებიც წლების მანძილზე პერსპექტიულ ფეხბურთელებად რჩებიან კოლექტივში, არც ვარჯიშზე, არც მატჩის დროს ზედმეტად თავს არ იწყებ-

ნ. მ. 3 33.

კახი ასათიანი — თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვერთნელი

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიისა და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვერთნელი დაინიშნა კახი შალვაძე მე ასათიანი.

თბილისი გადაწყვეტილებით თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვერთნელი დაინიშნა კახი შალვაძე მე ასათიანი.


გოლი, ვიჭიღაოთ! კიდეც პირთი ახალი თაონსოვა

ის, რაც ახლა უნდა ვთქვათ, ათასჯერ თქმულა და დაწერილა, მაგრამ არაფერი დაშვებდა, თუ კიდეც ერთხელ გავიმეორებთ: სპორტში ყველა გამარჯვებას თავისი კანონზომიერება აქვს; სადავო არ უნდა იყოს, რომ საქართველოს ფალავანთა ყველა წარმატების სათავე ქართული ქიდაობაა. ერთ დროს ზოგ-ზოგებს ეკვი შეეპარათ ამ კემშარტებაში და ქართული ქიდაობა ლამის „მოდილან“ გამოსულ სახეობად გამოაცხადეს. ამით მართო ჩვენი ეროვნული სპორტი არ დაზარალებულა, ამით ქიდაობის ქართული სკოლის საძირკველი შეირყა. კიდეც კარგი, რომ საღმა აზრმა გამარჯვა: დღეს ქართულ ქიდაობას ნამდვილად არ აკლია ზრუნვა და ყურადღება, ქართული ქიდაობის აღორძინება საერთო საქმედ გამოცხადდა.

ახლახან დამთავრდა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონატი ქართულ ქიდაობაში. ეს შეჯიბრება სპორტული სეზონის თავისებური გვირგვინი იყო, მაგრამ სეზონი არ დამთავრებულა. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის სპორტსაქონისა და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ თაოსნობით თბილისის ცირკის სარბიელი შაბათობით ფალავანებს დროეთობა. ჩვენი ცირკი თავის დროზე უძლიერესი მოქიდავებისა და მათი გულშემამტკიცებების დიდი საკრებულო იყო. ამეორიდან აქ კვლავ იასპარეზებენ ფალავანები, კვლავ ახმაურდება ჩვენებური „საჭიღაო“.

მელიც სტარტს აიღებს შაბათს, 6 დეკემბერს. ტურნირის ორგანიზატორებმა, ჩვენი აზრით, საინტერესო დებულება შეიმუშავეს, უფრო სწორად, აღადგინეს ფალავანთა შეჯიბრების ოდინდელი ტრადიცია, როცა სოფელი სოფელს ეჯიბრებოდა, უბანი — უბანს. პირველ ტურნირში იასპარეზებს რაიონის თითო სოფლისა და ქალაქების (ამგვარად — თბილისის) უბნების 16 გუნდი. ისინი ქვეჯგუფებში ასე განაწილდნენ: I მცხეთა, საგარეჯო, ხაშური, სვანეთის უბანი; II. კასპი, თელავი, რუსთავი, გლანის; III. გორი, ახმეტა, ქუთაისი, ორთაქალა; IV. ქარელი, დუშეთი, ვარდბანი, დილომი. ქვეჯგუფებში I-II ადგილებზე გასული გუნდები ოლიმპიური სისტემით გააგრძელებენ პირველობისთვის ბრძოლას. მეოთ-

ხედფინალიდან დაიწყება პირადი პირველობაც (ტურნირში გამოვლენ ის მოქიდავებები, რომლებსაც არც ერთი შეხვედრა არ ექნებათ წაგებული). თითო გუნდის შემადგენლობაში 9 მოქიდავია (წონა განუსაზღვრელია): 5 მოზრდილი, 2 საშუალო ასაკის (17 წლამდე), 2 უმცროსი ასაკის (14 წლამდე). გუნდებს უფლება ეძლევათ სარბიელზე გამოიყვანონ რაიონის, ქალაქის ორ-ორი საუკეთესო მოქიდავე. მამ, ასე, იწყება სოფლებისა და უბნების რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ქიდაობაში. შაბათს, 14 საათზე, თბილისის ცირკის არენაზე გამოვლენ წილკანისა (მცხეთა) და გიორგიშინის (საგარეჯო) ფალავანები. ცირკი ელის ფალავანებსა და მათს გულშემამტკიცებებს.







ჟანი ზიარისა ჟანი ბანსჯინა

# ის, რას ხელს გვიწლის

დასასრული მბოში. აი, როგორ ბიჭებს ზრდიდა ქართული ჰიდობა! მაგრამ თავისუფალი სტილის მოჭიდებთა მოსამზადებლად სპეციალური სკოლა არ არსებობდა, რამაც უარყოფითი შედეგები იქონია რესპუბლიკის ნაკრები გუნდის შემდგომ წარმატებაზე. 70-იანი წლების სახელგანთქმულ ქართველ სპორტსმენთა ტრიუმფალური სვლის დასრულების შემდეგ საქართველოს ნაკრები საბჭოთა კავშირის ზალხ VII და VIII სპარტაკიადზე ჯერ მე-6, შემდეგ კი მე-9 ადგილს დასჯერდა. ეს საგანგაშო შედეგები იყო, თავისუფალმა ჰიდობამ დაკარგა ავტორიტეტი, ხილო დაკარგული ტრადიციის აღდგენა ძალიან ძნელია. ასე დაკარგეს ტრადიციები და ვერ აღიდგინეს თბილისი, თურქეთი, ფინეთი, შვეიცია, ქალაქებმა — ლენინგრადმა, როსტოვმა და სხვ. სხვათა შორის, ჩვენ გავვიწყდეთ: თავისუფალი ჰიდობაზე ფანტიკურად შეყვარებულმა მწვრთნელმა ვ. მესტრიაშვილმა და ი. ნიკოლაძემ შეძლეს საქმიანი კონტაქტების დამყარება „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკურ საბჭოსთან, მიიღეს მატერიალური მხარდაჭერა (საჭიდაო ლეიბები, მწვრთნელთა შტატები და მოჭიდავეთათვის დამატებითი კვება) და მათი ინიციატივით თბილისის გარეუბნების სკოლებში გაიხსნა თავისუფალი ჰიდობის სექციები. საჭიდაო ლეიბები გაიზარდა აგრეთვე რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში, სადაც ამოქმედდნენ „თამაშავი მდგომარეობაში“ დარჩენილი მწვრთნელები და შედეგად არ დაიგვიანა: მალე გამოჩნდნენ იმედის მომცემი მოჭიდავეები. გამოჩნდნენ ნიჭიერი მომავალი ფალანგებისათვის მოხერხდა „შრომითი რეზერვების“ ერთ-ერთი სკოლაში პროფესიულ სწავლებასთან ერთად დღემდე ორჯერადი წვრთნის ჩატარება. აქ ყოველწლიურად 40-მდე ნიჭიერ ახალგაზრდას იზიდავენ რესპუბლიკის სხვადასხვა

კუთხიდან. ამ პერიოდთან მიყოლებული თავისუფალი ჰიდობის მანევრებელი რესპუბლიკაში გაუმჯობესდა, გამოჩნდნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. საქართველოში კლასიკური ჰიდობის უძველესი ტრადიციები აქვს. საბჭოთა კავშირში პირველად სწორედ თბილისში გაიხსნა ბავშვთა სკოლა კლასიკური ჰიდობაში (მწვრთნელ პ. იორდანიშვილის თაოსნობით, შემდეგ მას მხარი აუბა ნ. აკოფოვმა). ამ სკოლაში აღიზარდნენ შესანიშნავი სპორტსმენები — ა. ქორიძე, რ. ძნელიძე, დ. გვანცელაძე, რ. რურუა, დ. ციმაძე, რიძე, ვ. ილურიძე. როგორ შეძლო წარსულში საქართველოს კლასიკური ჰიდობის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა დ. დავითაძემ ისე შეერჩია მოჭიდავეები, რომ მათგან გამარჯვებულთა გუნდი ჩამოეყალიბებინა? მას ხომ ისეთი პირობები არ ქონია, როგორც თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს ჰქონდათ? საქმე ის არის, რომ საქართველოს მოსწავლეთა პირველობებზე იგი ყველა მონაწილეს ყურადღებით აკვირდებოდა და ტექნიკური-ტაქტიკური მომზადების, მოხერხებულობის, მიზანსწრაფულობის და განსაკუთრებით, კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი აზროვნების უნარის მიხედვით შეარჩია კანდიდატები, მერე მათ ჩაუტარა „გამოცდა“ საერთო ფიზიკურ მომზადებაში. ამის შემდეგ თითოეულ მათგანს მისცა პერსონალური დავალიანობა ფიზიკური მომზადების და ნაკლოვანი მხარეების გამოასწორებლად, რომელიც „მოთხოვნილებდნენ“. დავითაძემ ყურადღებით შეისწავლა მისთვის საინტერესო რაიონები და პერსონალურად შეამოწმა მიცემული დავალების შესრულების ხარისხი. შემდეგ შეკრიბა 80 დამწყები სპორტსმენი და მათგან 40 ახალგაზრდა ამოარჩია, შემდგომ პერიოდულ შეკრებებს მართავდა (განსაკუთრებით ნიჭიერ მწვრთნელ მრავალი წლის

განმავლობაში თბილისში, საკუთარ ბინაში აცხოვრებდა). დღეისათვის საქართველოს ნაკრები გუნდი კლასიკური ჰიდობაში ძირითადად ასეთი ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული. ძიუდოს ჩვენს რესპუბლიკაში ჯერჯერობით არა აქვს მწვევ პირობები. იგი სარგებლობს იმ „პაპიტალით“, რომელიც ადრე თავისუფალი სტილით ჰიდობას ეუფლებოდა, კერძოდ, ქართული ჰიდობის გორის, სვანეთისა და გუბეთის სკოლების აღზრდილებით. ქართველ ძიუდოსტთა დიდ სარბიულზე გამოსვლები ამ ბოლოდროს გვარწმუნებს, რომ რაოდენობა ხარისხში ვეღარ გადადის, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ჩვენს ბიჭებს კავშირის მასშტაბით კვლავ წამყვანი პოზიციები უჭირავთ, მაგრამ საქართველოს ტრადიციების სპორტულ ჰიდობაში მხოლოდ საბჭოთა კავშირის პირველობაზე გამარჯვება და თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ძიუდოს ტრიუმფალური შედეგები ვერ დააკმაყოფილებს! ვეღარ ვამაყობთ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებით, რაშია საქმე? საშუალოდ, ძიუდოს ქართული სკოლა ვერ ამაღლდა ფრანგულ, ინგლისურ, პოლანდურს და იაპონურ სკოლების დონეზე, მართალია, ამ სკოლების ცალკეულ წარმომადგენლებს უმრავლეს შემთხვევაში ვკვებით კიდევ, მაგრამ ეს სპორტული სკოლის მუშაობის შედეგად როდია — ეს ქართველთა ნიჭის წყალობაა. თვალს ვერ დავხუჭავთ: ბევრმა ჩვენმა სახელოვანმა მოჭიდავემ ისე დატოვა სარბიული, რომ ძიუდოს ქართულ სკოლას ბევრი ვერაფერი შესძინა და ეს სპორტსმენებიც სახელგანთქმული მრავალნი მხოლოდ თავისი ნიჭისა და ქართული ჰიდობის ცოდნის წყალობით. ჩვენ კი სხვა რამ გვკვირდება. თუ კლასიკური ჰიდობისა და თავისუფალი ჰიდობის ქართულ სკოლას (და არა მოჭიდავეს) მსოფლიოს ვერცერთი ქვეყნის სკოლა ვერ

გაუწევს მტოქობას, ძიუდოს სკოლა ამით ვერ დაიკვივს. საბედნიეროდ, თბილისის ტრადიციულმა ტურნირმა ჰიდობა ძიუდოში სკოლებს შორის განსხვავება დაგვანახა. როგორც დღეში, ასევე ჩოქჩენში (ჰიდობის თავისებურებიდან გამომდინარე). სკოლის შესაქმნელად საჭიროა არამარტო ნეგატიური მხარეების ანალიზი, არამედ პირველყოფისა, ბრწყინვალე გამარჯვებების ანალიზიც და, რაც მთავარია, მათი განხილვაც. ძიუდოს ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზე ცნობილ სპორტსმენს ზურა ლუქაიას ვკითხე: რა მიგაჩნიათ-მეთქი ძიუდოსტთა „გარდნების“ მთავარ ფაქტორად. — უპირველეს ყოვლისა, დღეში მიღწეული წარმატებებით, მისასუხა მან და აქვე დასძინა, ქართული ჰიდობის ილეთების მრავალფეროვნება საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა. ხშირ შემთხვევაში ქართველი კაცი მათ თავდაცვისთვის იყენებდა, ერთს რამდენიმესთვის უნდა ეჯობა. ამგვარ სიტუაციაში მას წაქცეულთან ბრძოლის საშუალება აღარ ეძლეოდა. შეიძლება სწორედ ამანაც განაპირობა ქართველთა შორის გენეტიკური კოდის ჩამოყალიბება-განვითარება, რამაც მოგვიანებით, პირობითად რომ ვთქვათ „შემოდინიან პერიოდში“, საუკეთესო გამოვლინება პირველი ჰიდობა-დღეში, ანუ შექმნა საფუძველი იმისა, რომ ქართველი ბიჭები ფეხზე მყარად „მდგარიყვნენ“. აქვე მინდა მოვიხსენიო ჰიდობა სამბოც, რომელიც სამოციანი წლების პირველ ნახევარში კარგად მოერგო ქართველ ფალანგთა შესაძლებლობებს. პირველ ხანებში სპეციალური მომზადების გარეშე ბევრი ქართველი მოჭიდავე სამბოში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. მას შემდეგ კი, რაც ძიუდო ოლიმპიურ სახეობად იქცა, სამბო ჩვენს რესპუბლიკაში ავტორიტეტი დაკარგა. მაგრამ მდგომარეობის გამო სწორება ჯერ კიდევ შეიძლება,

რადგან ძიუდოში თითოეულ წონაში 6-7 მოჭიდავეა. ამდენი მოჭიდავედან ორივე სახეობაში რამდენიმე გუნდის რამოყალიბება შეიძლება და თუ ეს არ ხერხდება, ეს იმის ბრალია, რომ უმარჯველესი ფრანგო-ბოლონი, საკლასიკო ჰიდობაში წყვეტა ჰიდობის მართებულად მიგაჩნია რესპუბლიკის სპორტკომიტეტში ერთი მთავარი მწვრთნელი ყოფნა, რომელიც პასუხს აგებდა როგორც ჰიდობა ძიუდოს, ასევე სამბოს განვითარებაზე. ასეთ პირობებში ორივე სახეობის ნაკრები გუნდებს არ გაუჭირდებათ შედეგების შეგება. და ბოლოს, მინდა ორივე სიტუაცია ვთქვა ქართული ჰიდობის ხიბლისა და სილამაზის შესახებ. ჰიდობისა, რომელმაც ოლიმპიურ სახეობებში წარმატებები მოგვაროვებინა. დღესდღეობით ჩვენი წარმატებლობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ქართულ ჰიდობაში ფანდების, ილეთების გამოყენების შეზღუდვა მიმაჩნია, რაც გამოიწვია ბავშვთა და მოზარდთა აღრეული ასაკში ვარჯიშის დაწყებით თავისუფალი ჰიდობაში, ძიუდოსა და სამბოში, ქართულ ჰიდობაში უმაღლესი ფიზიკულტურული განათლების მქონე მწვრთნელთა და მასწავლებლების სპორტული სექციების არარსებობამ. აქედან გამომდინარე ქართული ჰიდობის საფუძველები დაფუძვლა-სწავლება სტიქიურ ხასიათს ატარებს. საერთო დასამსწრსით: 1). ქართული ჰიდობის მწვრთნელთა აღზრდის მიზნით ფიზიკულტურის ინსტიტუტში ყოველწლიურად უნდა ჩაირიგდოს რამდენიმე კანდიდატი; 2). აღნიშნული ინსტიტუტის კათედრაზე უნდა მოვიწვიოთ წარსულში სახელგანთქმული ფალანგები, ჰიდობის სამბო-როგორც უფროსი მწვრთნელი სიმონ შაისურაძე (მანვე გამოსცა წიგნი „ქართული ჰიდობა“); 3). რაიონებში უნდა გაიხსნას ქართული ჰიდობის სექციები. გარდა ამისა, საჭიროდ მიმაჩნია სპორტულ სკოლა-ინტერნატში ფიზიკულტურის გავრცელების შეცვლა ქართული ჰიდობის გავრცელებით.

**ზურაბ შირიძე**  
სპორტის ოსტატი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.



## წიგნის თარო

ტულ ქურნალისტიკაში მის მრავალწლიან ნაშრომებში დილექტანტობას და ზერელობას ვერ გაუქაჩებია, — მასშტაბური ანალიზი და აზროვნება კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა. არჩილ გოგელის სპორტული ქურნალისტიკის „მაგნიტური ველი“ შეუვლია თვით ყველაზე ასოკრიტა კრიტიკოსისათვისაც. იმიტომ, რომ მისი ყოველი სიტყვა პროფესიონალი ქურნალისტის სიტყვაა, მის ყოველ წერტილს სიმართლის, პრინციპულობისა და პირუთენელობის ბეჭედი ახის. არჩილ გოგელის პირველ რეპორტაჟებს, ნარკვევებსა თუ ჩანახატებს სამოციანი წლებში გაეცნო მკითხველი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მათი ავტორი საფარიათ ბოლიკებზე გამოდიოდა. არჩილ გოგელმა უშუალოდ სპორტული სარბიულიდან მოიტანა სპორტის გაუხუნარი ფერადოვნება, მოიტანა თავისი მარჯვე კალმითა და ცინცხალი ნიჭით. ეს არის ავტორისა და მისი მეგობრების მიერ გაცემული სპორტული „სამყარო, ნაღდი სპორტსმენისა და ქურნალისტის მიერ დანახული და აღწერილი ცხოვრება. და აი, დღეს სპორტის მოყვარულმა ხელთა აქვთ მშვენიერი საჩუქარი — გემოვნებით აკინძული წიგნი — „ასეთია სპორტული ცხოვრება“ (გამომცემლობა „განათლება“, რედაქტორი გურამ ფანჯიკიძე, გამომცემლობის რედაქტორი ტარიელ ზოზრაშვილი, მხატვარი ვახტანგ რურუა, ტირაჟი — 50000). წიგნის გიორებს, ისევე როგორც მის ავტორს, კარგად იცნობს ქართველი მკითხველი — სპორტის კულუმბეკობიერი. სახელოვანი სპორტსმენი ბევრზე ბევრი

გვყავს, მაგრამ აქ მათი მხოლოდ ერთი ნაწილია წარმოდგენილი. ისინი ავტორს რეკალიბრისა და ჩინ-მედლების მიხედვით არ შეურჩევია. ნარკვევები იმათზე მოგვიხსენიებს, ვისთანაც ავტორს დიდი ხნის მეგობრობა და ნაცნობობა აკავშირებდა და აკავშირებს, ვისთან ერთადაც მრავალჯერ გამოსულია სპორტულ სარბიულზე და გამარჯვების სიხარული თუ მარცხის სიმწარე გაუწაფილებია. მკითხველი ამაოდ დაუწყებს ძებნას სტატისტიკურ მასალას. არჩილ გოგელისეული ნარკვევებისთვის ტიტულებისა და ციფრების მექანიკური ჩამოთვლა „ზედმეტი ტერითი“ იქნებოდა. ავტორს მედლის მეორე მხარე უფრო აინტერესებს. იგი ჩვენს თვალწინ აცოცხლებს პიროვნებას, ხასიათს და სპორტსმენის ფსიქოლოგიურ პორტრეტს გვთავაზობს. ყველა ამ პორტრეტს წითელ ხაზად გასდევს დედაპირი: შრომა, მხოლოდ დაუღალავი შრომა ყველა გამარჯვების სათავე. წიგნი შესულია 67 ნარკვევი და დაახლოებით ამდენივე სხვადასხვა ხასიათისა თუ დანიშნულების წიგნი. ამ წიგნებში ცხადად ჩანს ავტორის პოზიცი, მისი დაუღალავი მეცადინეობა ქართული სპორტის სიჯანსაღისა და წინსვლისთვის. არჩილ გოგელის არა აქვს პიეტეტული ქართული სპორტის მემკვიდრის როლი ტვირთის, რადგან კარგად იცის, რომ ჩვენი სპორტის ისტორიის აღწერას ერთი კაცის ცხოვრება არ ეყოფა. ამიტომაც წერს წინასიტყვაობაში: „მე გავაყეთ, რაც შემიძლია; მონახული ვიქნები, თუ ამას სხვა უკეთ გაუკეთებს“.



## დღეს დასკვნითი XV ტური

**გუშინ** თბილისის ქადაკის სახალაში ვ. გოგელის VII მეგობრობის მოწვევა გადამდებულ პარტიებს დამთავრება. კანცლერმა დამარცხა პეკარევი და მალანოუკი. ცვიტანმა მოუგო პეკარეს. ყიამით დამთავრდა მაკოლანოლ ფოიშორის, არხიოვ — მალანოუკის პარტიები. ავადმყოფობის გამო გურგენიძე გამოეთიშა შეჯიბრებას. ამიტომ ტაღს მასთან XIII ტურის გამო-

ტოვებულ პარტიაში პლუსი დაუწერა. 14 ტურის შემდეგ მ. ტაღსა და ზ. აზმაიფარაშვილს 9,5-9,5 ქულა აქვთ, ო. რომანიშინსა და ბ. კანცლერს — 9-9, ვ. მალანოუკს — 8 ქულა. დღეს, 4 დეკემბერს ვამბარტა დასკვნითი, XV ტური. დღეს ტერებს იწვევს აზმაიფარაშვილი რომანიშინის შესხვედრა.

## ინფორმაცია

**ნორვეგიის** ქალაქ ლილვამერის მახლობლად გამართულ მოთხილამურეთა შეჯიბრებაში 15 კილომეტრზე რბენაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა შევდმა თომას ვასბერგმა გაიმარჯვა. ვასბერგმა რბენის კლასიკური მეთოდი გამოიყენა და კარგი შედეგი აჩვენა — 34.02. ქალთა შეჯიბრებაში 10 კილომეტრზე უძლიერესი იყო შვეიცარიელი ვვი კრატცერი — 26.10.

## პირველ ლიბაში გადასასვლელი

**თბილისის** „ლოკომოტორის“ სტადიონზე გუშინ გამართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის II ლიგის გუნდების შეხვედრა, რომლებიც იბრძვიან საფეხბურთო I ლიგის საზღურისთვის. ერთმანეთს შეხვდნენ „მლაროელი“ (ქიათურა) — „ბახტრინი“ (სამეტი). თამაში დამთავრდა ახმეტელ ფხბურთელთა: გამარჯვებით — 4:2. 5 დეკემბერს ტურნირზე ერთმანეთს შეხვდებიან „მლაროელი“ (ქიათურა) — „კოლხეთი“ (ზობი).

**რედაქტორის მოადგილე**  
**თ. განაჩილაძე**

**ჩვენნი მისამართი:**  
წერილები — 230038  
თბილისი, ლენინის ქ. 14  
დეკლარაციისთვის — თბილისი, „დელი“.

**რედაქციის ტელეფონები:**  
სამდივო — 93-97-52,  
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,  
წერილებს განყოფილება — 93-97-55,  
„პარტი“ — 93-97-27, „მედიანი“ — 93-97-28.

**63060**  
**06430:**  
**68435**

**საქართველოს კაცობის გამოცემის შრომის წითელი დროის რედაქციის**  
ნოვანი სტამბა. 880096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოქტომბერი წიხით საგანეთი კორპუსში: ხოზარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23